2-4049/20
09-03-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომართვის საფუძველზე გთხოვთ, კანონის პროექტის განხილვისათვის დადგენილი ვადის 3 თვით გაგრძელებას საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ„ (07-2/290; 13.12.2018).

დანართი: 1ფ.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნინო წილოსანი

2-3902/20
05-03-2020

საქართველოს პარლამენტის

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების

კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია კანონპროექტები:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/290; 13.12.2018).

წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი არის სავალდებულო კომიტეტი, ხოლო განხილვის ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 6 მარტი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული ვადების დაცვის და დამატებითი კონსულტაციების გავლის მიზნით კომიტეტს ესაჭიროება დამატებითი დრო, საკითხის სრულყოფილად დამუშავებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, რომ კანონპროექტის განხილვის ვადა გაგრძელდეს 3 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი